BAG საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA

27/04

24.09.2018

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონ ირაკლი კობახიძეს

ასლი: საქართველოს ბიზნესომბუდსმენს

ბატონ ირაკლი ლექვინაძეს

ბატონო ირაკლი,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია წარმოადგენს საქართველოს მასშტაბით უმსხვილეს ბიზნეს გაერთიანებას, რომლის წევრებიც არიან სხვადასხვა დარგში მოღვაწე, დარგის ლიდერი კომპანიები.

ჩვენი მიზანია, ბიზნესთან, საკანონმდებლო, აღმასრულებელ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით, ჩვენი წვლილი შევიტანოთ ქვეყნის ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებაში და დავიცვათ ჩვენი წევრი კომპანიების ლეგიტიმური ინტერესები.

ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად ჩვენ ერთის მხრივ აქტიურად ვართ ჩართულნი იმ საკანონმდებლო აქტების პროექტების განხილვაში, რომლებიც ინიცირებულია საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ, მეორეს მხრივ კი, ზოგიერთ შემთხვევაში, თავად ვცდილობთ შევთავაზოთ ხელისუფლებას ამა თუ იმ პრობლემის მოგვარების კონკრეტული გზები და შესაბამისი კანონპროექტები.

ამჯერად, ჩვენი თქვენდამი მომართვის საფუძველია „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელმაც 2017 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და მასში აისახა მთელი რიგი რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს თამბაქოს მოხმარების შედეგად მიყენებული ზიანის შემცირებას თამბაქოს რეალიზაციის, მარკეტინგისა თუ მოხმარების შეზღუდვის გზით; რასაკვირველია, ჩვენ ვეთანხმებით „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების არსსა და მიზანს; ამასთანავე, ვფიქრობთ რომ ცვლილებების განხორციელების პროცესში ყურადღების მიღმა იქნა დატოვებული თამბაქოს მოხმარების შედეგად მიყენებული ზიანის შესამცირებელი ისეთი მნიშვნელოვანი, თანამედროვე

საქართველო, თბილისი 0105
გიორგი ლეონიძის ქ. #2
ტელ.: 995 32 2202 215
ელ.ფოსტა: info@bag.ge

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 14404
24.09 2018 წ. დერს. 27

www.bag.ge

საშუალებები, როგორებიცაა ელექტრონული სიგარეტები და სხვა მსგავსი, თამბაქოს ჩამნაცვლებელი პროდუქტი;

ასეთი პროდუქტის რეგულაცია, როგორც ევროკავშირის პრაქტიკა ცხადყოფს, აუცილებელია თამბაქოს ტრადიციული ნაწარმისაგან განსხვავებულად, რაც არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობით უკვე დადგენილი აკრძალვებისა და შეზღუდვების გვერდის ავლას მოხმარებისა თუ რეალიზაციის მიზნებისთვის.

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ საქართველოს ბაზარზე ელექტრონული სიგარეტის, მათი კონტეინერების, შემავსებლების თუ კარტრიჯების იმპორტი და რეალიზაცია უკვე დიდი ხანია ხორციელდება, და როგორც შემოსავლების სამსახურის მონაცემები ცხადყოფს, საკმაოდ დიდია ამ პროდუქტის კონტრაბანდის შემთხვევებიც, რასაც ემატება შესაბამისი სტანდარტების/ რეგულაციების არარსებობა და პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება პროდუქტის კონტროლი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ რა, რომ მოქმედი კანონმდებლობა საჭიროებს ევროკავშირის რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანას, გვსურს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 150-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგინოთ საკანონმდებლო წინადადება საქართველოს კანონში - „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ ცვლილებების შეტანის შთაობაზე და გთხოვთ, წარმოდგენილი წინადადება დადგენილი წესით გადასცეთ პარლამენტის შესაბამის კომიტეტებს, მისი საკანონმდებლო ინიციატივად წარდგენის საკითხის გადასაწყვეტად.

დანართი: 25 ფურცლად.

პატივისცემით,

ირაკლი ასლანიშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

საქართველოს კანონი

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 29.12.2010, სარეგისტრაციო კოდი: 340150000.05.001.016142) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. კანონის მიზანი

საქართველოს მოსახლეობის მიერ თამბაქოს ნაწარმის მოხმარებით გამოწვეული დაავადებიანობისა და სიკვდილიანობის შემცირების მიზნით ეს კანონი განსაზღვრავს და აწესრიგებს სამართლებრივ ურთიერთობებს თამბაქოს ნაწარმის კონტროლის სფეროში.“

2. მეორე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. თამბაქოს კონტროლის ძირითადი პრინციპები

საქართველოში თამბაქოს კონტროლის სფეროში მოქმედი კრიტერიუმები, მოთხოვნები, პირობები და წესები უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ პრინციპებს:

ა) თამბაქოს ნაწარმის ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქტად აღიარებას;

ბ) არამწეველთა თამბაქოს ნაწარმის მავნე ზემოქმედებისაგან დაცვის უფლების აღიარებას;

გ) თამბაქოს ნაწარმის მავნე ზემოქმედების შესახებ საქართველოს მოსახლეობის ინფორმირებას და თამბაქოს ნაწარმის თაობაზე ინფორმაციის გამჭვირვალობას;

დ) თამბაქოს ნაწარმის მოხმარების შეწყვეტისა და მოხმარების დაწყების პრევენციის ხელშეწყობას;

ე) თამბაქოს ნაწარმის წარმოებისა და რეალიზაციის კონტროლს;

ვ) თამბაქოს ნაწარმზე მოთხოვნილებისა და ამ ნაწარმის ხელმისაწვდომობის შემცირებას;

ზ) თამბაქოს ნაწარმის დაუბეგრავი და გაუპიროვნებელი გაყიდვის აკრძალვას;

თ) არამწეველობის, როგორც ცხოვრების ნორმის, აღიარებას;

ი) თამბაქოს ნაწარმის მოხმარების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შემუშავებაში, განხორციელებასა და შეფასებაში საზოგადოების მონაწილეობას;

კ) თამბაქოს ნაწარმის რეკლამისაგან თავისუფალ გარემოში ცხოვრებისა და მისი ზემოქმედებისაგან დაცვის უფლების აღიარებას;

ლ) საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას;

მ) ჯანმრთელობის დაცვის სფეროში თამბაქოს ნაწარმის კონტროლთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესის თამბაქოს ინდუსტრიაში ჩაბმულ პირთა ჩარევისაგან დაცვას, აგრეთვე თამბაქოს ინდუსტრიაში ჩაბმულ პირებთან სახელმწიფოს საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით ურთიერთობას;

ნ) თამბაქოს ნაწარმის ინგრედიენტის, თამბაქოს ნაწარმისგან გამოფრქვეული ნივთიერების და თამბაქოს შეფუთვის კონტროლს;

ო) თამბაქოს ინდუსტრიაში ჩაბმულ პირთა ქმედებების საქართველოში თამბაქოს ნაწარმის კონტროლის სფეროში მოქმედ ნორმებთან შესაბამისობის მიუხედავად, მათი სისხლისსამართლებრივი ან სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების შეუძლებლობას ამგვარი პასუხისმგებლობისთვის შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში;

პ) კანონით დაშვებული სხვა ღონისძიებების განხორციელებას ამ კანონის მიზნის, „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ჩარჩო კონვენციის ამოცანებისა და პრინციპების შესრულებისთვის.“

3. მესამე მუხლის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) *თამბაქოს ნაწარმი* – თამბაქოს ან მისი ელემენტების შემცველი ნაწარმი (გარდა ნიკოტინის შემცველი სამკურნალწამლო საშუალებისა), რომელიც განკუთვნილია მოსაწევად, დასაღეჭად, საწუწნად ან შესასუნთქად, მათ შორის:

ა.ა) ფილტრიანი სიგარეტი, უფილტრო სიგარეტი;

ა.ბ) პაპიროსი, სიგარა, სიგარილა;

ა.გ) საჩიბუხე თამბაქო, ჩილიმისთვის განკუთვნილი თამბაქო;

ა.დ) შესახვევი თუთუნი;

ა.ე) დასაღეჭი თამბაქო, საწუწნი თამბაქო, შესასუნთქი თამბაქო;“

ბ) „ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარის „ა^{1}“, „ა^{2}“, „ა^{3}“, „ა^{4}“, „ა^{5}“, და „ა^{6}“ ქვეპუნქტები:

„ა^{1}) *სიგარეტი* - თამბაქოს შესახვევი ღერი, რომელიც მოიხმარება წვის შედეგად;“

„ა^{2}) *მოსაწევი თამბაქოს ნაწარმი* - ნებისმიერი თამბაქოს პროდუქტი, რომელიც არ არის არმოსაწევი თამბაქო“;

„ა[3]) *ელექტრონული სიგარეტი* - პროდუქტი, რომელიც გამოიყენება ნიკოტინის შემცველი ორთქლის მოხმარებისთვის პირის მოწყობილობის საშუალებით ან ამ პროდუქტის ნებისმიერი კომპონენტი, მათ შორის კარტრიჯი, ჩასადები ან მოწყობილობა კარტრიჯისა ან ჩასადების გარეშე. ელექტრონული სიგარეტი შეიძლება იყოს გამოყენებადი ან შევსებადი შესავსები კონტეინერის ან ჩასადები მოწყობილობის მეშვეობით ან იტენებოდეს კარტრიჯის ერთჯერადი გამოყენებით;“

„ა[4]) *შესავსები მოწყობილობა* - კონტეინერი, რომელიც შეიცავს ნიკოტინის შემცველ სითხეს და გამოიყენება ელექტრონული სიგარეტის შესავსებად;“

„ა[5]) *თამბაქოს აქსესუარი ან/და თამბაქოს ნაწარმის მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობა* – მუნდშტუკი, ჩიბუხი, ჩილიმი, საწუწნი თამბაქოს მოწყობილობა, შესასუნთქი თამბაქოს მოწყობილობა, სიგარეტის ასანთები სპეციალური სანთებელა, თამბაქოს გასახვევი ქაღალდი, თამბაქოს შესახვევი აპარატი, თამბაქოს დასაჭრელი აპარატი, საფერფლე, ნებისმიერი სახის პორტსიგარი ან სხვა საგანი, რომელიც განკუთვნილია უპირატესად თამბაქოს ნაწარმის მოწევისთვის ან/და შენახვისთვის, აგრეთვე სიგარეტის, მისი კოლოფის ან ზემოაღნიშნული საგნის ილუსტრაცია ან მისი გამომსახველი სხვა საგანი;“

„ა[6]) *ახალი თამბაქოს ნაწარმი* - პროდუქტი, რომელიც შეიცავს თამბაქოს და რომელიც არ შედის არც ერთ შემდეგ კატეგორიაში: ფილტრიანი სიგარეტი, უფილტრო სიგარეტი, პაპიროსი, სიგარა, სიგარილა, საჩიბუხე თამბაქო, ჩილიმისთვის განკუთვნილი თამბაქო, შესახვევი თუთუნი, დასაღეჭი თამბაქო, საწუწნი თამბაქო, შესასუნთქი თამბაქო;

გ) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„*არმოსაწევი თამბაქოს ნაწარმი* - თამბაქო, რომელიც არ მოიხმარება წვის პროცესის შედეგად, მათ შორის დასაღეჭი თამბაქო, შესასუნთქი თამბაქო და საწუწნი თამბაქო“.

დ) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) *თამბაქოს მოწევა* – თამბაქოს წვის შედეგად გამოყოფილი კვამლის შესუნთქვა მწეველის მიერ;“

ე) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) *სამედიცინო გაფრთხილება* – ადამიანის ჯანმრთელობაზე თამბაქოს პროდუქტის მავნებლობის ან მოხმარების არასასურველი შედეგების შესახებ გამაფრთხილებელი წარწერა, რომელიც გულისხმობს ტექსტობრივ გაფრთხილებას, ტექსტობრივ გაფრთხილებას პიქტოგრამასთან ერთად ან საინფორმაციო მესიჯს, რომელიც გათვალისწინებულია ამ კანონით“.

ვ) „რ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რ) *საწარმოო ობიექტი* – საწარმო, საამქრო ან მათი უბნები და სხვა საწარმოო ქვედანაყოფები და ტერიტორიები, აგრეთვე მოწყობილობები, რომლებიც თამბაქოს ნაწარმის წარმოების პროცესში გამოიყენება;

ზ) „უ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„უ) *თამბაქოს მწარმოებელი* – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც აწარმოებს თამბაქოს ნაწარმს და პასუხს აგებს ამ კანონის მოთხოვნათა შესრულებისათვის მის მიერ განხორციელებული საქმიანობის ყოველ ეტაპზე; ამასთანავე, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი წარმომადგენელი ან პროდუქტის იმპორტიორი, როდესაც უცხოელ დამამზადებელს არ ჰყავს წარმომადგენელი;“

თ) „ქ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ღ“ ქვეპუნქტი:

ღ) *გაზარზე განთავსება* - გულისხმობს პროდუქტის, მათი წარმოების ადგილის მიუხედავად, საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობას, გადახდით ან მის გარეშე, მათ შორის დისტანციური გაყიდვის გზით.“

4. მეოთხე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 4. თამბაქოს ნაწარმის კონტროლის ღონისძიებები და თამბაქოს ნაწარმის კონტროლის სფეროს მარეგულირებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები**

1. საქართველოს მთავრობა ახორციელებს თამბაქოს ნაწარმის კონტროლის გრძელვადიან სახელმწიფო სტრატეგიას და ყოველწლიურ სახელმწიფო პროგრამას.

2. საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით განისაზღვრება:

ა) საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტებისგან გამოფრქვეული ნივთიერებების (ნიკოტინი, კუპრი, მხუთავი გაზი) ზღვრულად დასაშვები ნორმები, გაზომვისა და რეგულირების წესები, თამბაქოს კონტროლის სფეროში მოქმედი საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით;

ბ) თამბაქოს ნაწარმზე, ელექტრონულ სიგარეტზე, შესავსებ მოწყობილობაზე (კოლოფზე/ბლოკზე, შეფუთვაზე) სამედიცინო გაფრთხილებების (მათ შორის, პიქტოგრამისა და ტექსტობრივი წარწერის) დატანის წესი;

გ) საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი მოსაწევი თამბაქოს ნაწარმის და მისი შეფუთვის სტანდარტიზების წესი.

3. ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტებისგან გამოფრქვეული ნივთიერებების (ნიკოტინი, კუპრი, მხუთავი გაზი) გაზომვა უნდა უზრუნველყოს თამბაქოს აღნიშნული ნაწარმის მწარმოებელმა ან/და იმპორტიორმა საკუთარი ხარჯებით.

თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელმა ან/და იმპორტიორმა უნდა დაადასტუროს გაზომვის სტანდარტების შესაბამისად ჩატარება და სამინისტროს ყოველი წლის 31 მაისამდე უნდა წარუდგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტები. ამ დოკუმენტების ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით. თამბაქოს მწარმოებელი ან/და იმპორტიორი უზრუნველყოფს თამბაქოს აღნიშნული ნაწარმის შესაბამისობას დოკუმენტებში მითითებულ მონაცემებთან. ამასთანავე, თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელმა ან/და იმპორტიორმა სამინისტროს ამ პუნქტში აღნიშნულ ვადაში უნდა წარუდგინოს ინფორმაცია მოსაწევი თამბაქოს ნაწარმის ინგრედიენტების (კერძოდ, ინგრედიენტების ჩამონათვალის, რაოდენობისა და წონის) თაობაზე.

4. ამ კანონით დადგენილი თამბაქოს ნაწარმის წარმოების, იმპორტისა და რეალიზაციის აკრძალვის/შეზღუდვის წესები გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი ლიცენზიით/ნებართვით/ავტორიზაციით განსაზღვრულ საქმიანობის განმახორციელებელ პირთა სალიცენზიო/ სანებართვო/საავტორიზაციო პირობებში.

5. თამბაქოს ნაწარმის კონტროლის სფეროში ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების შესრულების შემოწმება არ არის სამეწარმეო საქმიანობის კონტროლი და, შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება „სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება.

6. საჯარო დაწესებულებას, სახელმწიფო მოსამსახურეს და საჯარო მოსამსახურეს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში თამბაქოს ნაწარმის კონტროლთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მომზადების, მიღებისა და შესრულების პროცესში თამბაქოს ინდუსტრიაში ჩაბმულ პირებთან ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია მათთვის თამბაქოს ნაწარმის წარმოებასთან და თამბაქოს ნაწარმთან დაკავშირებით ეფექტიანი რეგულირების შესაძლებლობის მისაცემად. თამბაქოს ინდუსტრიაში ჩაბმულ პირებთან ურთიერთობის აუცილებლობის შემთხვევაში აღნიშნულმა პირებმა მათთან სახელმწიფოს ურთიერთობა უნდა წარმართონ გამჭვირვალედ, საჯარო განხილვების, ამ ურთიერთობის შესახებ საჯარო შეტყობინებისა და შემუშავებული დოკუმენტების საზოგადოებისთვის გაცნობის საშუალებით. აღნიშნულ ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.“

5. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. თამბაქოს ნაწარმის, ელექტრონული სიგარეტის, ახალი თამბაქოს ნაწარმის, შესავსები მოწყობილობის თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს ნაწარმის მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის რეალიზაცია ან/და განლაგება

1. აკრძალულია თამბაქოს ინდუსტრიაში 18 წლამდე ასაკის პირის ჩაბმა.

2. აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის, ახალი თამბაქოს ნაწარმის, ელექტრონული სიგარეტის, შესავსები მოწყობილობის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს ნაწარმის მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის რეალიზაცია ან/და განლაგება:

ა) საგანმანათლებლო (ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლეს საგანმანათლებლო, პროფესიულ), სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე 50 მეტრის რადიუსში (შესაბამისი დაწესებულების ტერიტორიის უახლოესი წერტილიდან);

ბ) საჯარო დაწესებულებაში; ნებისმიერი სახის სამედიცინო, სპორტულ და კულტურულ დაწესებულებებში და მათ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე;

გ) სავაჭრო ობიექტის იმ სექციაში, სადაც ბავშვის ტანსაცმელი, კვების პროდუქტი ან/და სათამაშო იყიდება;

დ) ერთეული ღერებით ან ერთეული კოლოფით/შეფუთვით, თუ მასში 20 ღერ სიგარეტზე ნაკლებია ან მეტია;

ე) შეფუთვის გარეშე;

ვ) 18 წლამდე ასაკის პირზე;

ზ) ელექტრონული ან მექანიკური მანქანის საშუალებით;

თ) თუ საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმი, ახალი თამბაქოს ნაწარმი, ელექტრონული სიგარეტი, შესავსები მოწყობილობა, თამბაქოს აქსესუარი ან/და თამბაქოს ნაწარმის მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობა საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით არის დამზადებული;

ი) უფასოდ ან თვითღირებულებაზე დაბალ ფასად, მათ შორის, სამხედრო მოსამსახურეებისათვის სადღეღამისო ულუფაში შეტანით;

კ) ინტერნეტით ან ფოსტით (საცალო ვაჭრობა) (გარდა თამბაქოს აქსესუარისა ან/და თამბაქოს ნაწარმის მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობისა);

ლ) ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე 50 მეტრის რადიუსში;

მ) ვიტრინაზე, ვიტრაჟზე, დახლზე, თაროზე ან სხვაგვარად, ისე, რომ იგი ხილვადი იყოს შესაბამისი ობიექტის გარედან (გარდა სიგარეტის ასანთები სპეციალური სანთებელასი, საფერფლისა და პორტსიგარისა, რომლებზედაც არ არის დატანილი თამბაქოს ინდუსტრიაში ჩაბმულ პირთა ნაწარმის (საქონლის) სასაქონლო ნიშანი ან/და დასახელება, აგრეთვე აეროპორტში საბაჟო ტერიტორიის თავისუფალ ზონაში რეალიზაციისა და განლაგების შემთხვევებისა);

ნ) ვიტრინაზე, ვიტრაჟზე, დახლზე, თაროზე ან სხვაგვარად, ისე, რომ იგი ხილვადი იყოს შესაბამისი ობიექტის შიგნიდან (გარდა სიგარეტის ასანთები სპეციალური სანთებელასი, საფერფლისა და პორტსიგარისა, რომლებზედაც არ არის დატანილი თამბაქოს ინდუსტრიაში ჩაბმულ პირთა ნაწარმის (საქონლის) სასაქონლო ნიშანი ან/და დასახელება, აგრეთვე აეროპორტში საბაჟო ტერიტორიის თავისუფალ ზონაში რეალიზაციისა და განლაგების შემთხვევებისა);

ო) თამბაქოს ნაწარმის, ახალი თამბაქოს ნაწარმის, ელექტრონული სიგარეტის, შესავსები მოწყობილობის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს ნაწარმის

მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის რეალიზაცია შესაბამისი ობიექტიდან მისი სატრანსპორტო საშუალებაში მსხდომთათვის უშუალოდ მიწოდებით.

3. აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის, ახალი თამბაქოს ნაწარმის, ელექტრონული სიგარეტის, შესავსები მოწყობილობის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს ნაწარმის მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების საშუალებით დარიგება ან გათამაშება, სხვა ფორმით გათამაშება ან/და ამგვარ ღონისძიებებში თამბაქოს ნაწარმის, ახალი თამბაქოს ნაწარმის, ელექტრონული სიგარეტის, შესავსები მოწყობილობის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს ნაწარმის მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის საშუალებით ან მათი განაწილებით მონაწილეობა, აგრეთვე ნებისმიერი სხვა სახით თამბაქოს ნაწარმის პოპულარიზაცია, კერძოდ:

ა) საჩუქრის გადაცემა ან შეთავაზება, მოსაწევი თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს ნაწარმის მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის გადაცემა ან მოსაწევი თამბაქოს ნაწარმის გასინჯვის შეთავაზება რეალიზაციის მიზნით;

ბ) ინიციატივის განმტკიცება ან ერთგულების სქემა, კერძოდ, თამბაქოს ნაწარმის, ახალი თამბაქოს ნაწარმის, ელექტრონული სიგარეტის, შესავსები მოწყობილობის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს ნაწარმის მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის გაყიდვისას კუპონების დარიგება;

გ) პირდაპირი პერსონალური კომუნიკაცია, ქსელური მარკეტინგი, პირდაპირი გზავნილი, ინდივიდისთვის გამიზნული საპოპულარიზაციო მასალა, საინფორმაციო მასალა, რომელიც ახდენს ან შეიძლება მოახდინოს მოსაწევი თამბაქოს ნაწარმის პოპულარიზაცია;

დ) ინდივიდისთვის განკუთვნილი საპოპულარიზაციო მასალა, მათ შორის, ტელემარკეტინგი, მომხმარებელთა კვლევა, რომელიც ახდენს ან შეიძლება მოახდინოს თამბაქოს ნაწარმის, ახალი თამბაქოს ნაწარმის, ელექტრონული სიგარეტის, შესავსები მოწყობილობის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს ნაწარმის მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის, თამბაქოს მწარმოებლის ან საბითუმო მოვაჭრის პოპულარიზაცია;

ე) საცალო მოვაჭრისთვის თანხის გადახდა, ჯილდოს მიცემა ან საცალო მოვაჭრის საქმიანობაში წვლილის სხვაგვარად შეტანა, რაც გამიზნულია მისი მოტივირებისთვის, რათა მეტი თამბაქოს ნაწარმი, ახალი თამბაქოს ნაწარმი, ელექტრონული სიგარეტი, შესავსები მოწყობილობა, თამბაქოს აქსესუარი ან/და თამბაქოს ნაწარმის მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობა გაყიდოს;

ვ) მოსაწევი თამბაქოს მწარმოებლის, იმპორტიორის ან საბითუმო მოვაჭრის, მათთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული პირების მიერ თანხის გადახდა ან წვლილის სხვაგვარად შეტანა ღონისძიებაში, ფიზიკური პირის ან ორგანიზაციის საქმიანობაში, რომელიც შედეგად ახდენს მოსაწევი თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს ნაწარმის მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის, მოსაწევი თამბაქოს მწარმოებლის, იმპორტიორის ან საბითუმო მოვაჭრის ან მათი წარმომადგენლების პოპულარიზაციას;

ზ) ისეთი სათამაშოს, ტკბილეულის ან სხვა ნაწარმის გაყიდვა ან დარიგება, რომელიც არ შეიცავს თამბაქოს და თამბაქოს ნაწარმის, ახალი თამბაქოს ნაწარმის, ელექტრონული სიგარეტის, შესავსები მოწყობილობის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს ნაწარმის მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის ილუსტრაცია, სიმულაცია ან იმიტაციაა.

4. თამბაქოს ნაწარმის, ახალი თამბაქოს ნაწარმის, ელექტრონული სიგარეტის, შესავსები მოწყობილობის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს ნაწარმის მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის რეალიზაციის ადგილებში არანაკლებ A4 ფორმატის ქაღალდზე უნდა განთავსდეს საქართველოს კანონმდებლობით დამტკიცებული სამედიცინო გაფრთხილება და თამბაქოს მოხმარებაზე უარის თქმის მსურველთათვის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი კონსულტაციის მისაღებად, აგრეთვე ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 18 წლამდე ასაკის პირისთვის თამბაქოს ნაწარმის, ახალი თამბაქოს ნაწარმის, ელექტრონული სიგარეტის, შესავსები მოწყობილობის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს ნაწარმის მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის მიყიდვა აკრძალულია.

5. თუ თამბაქოს ნაწარმის, ახალი თამბაქოს ნაწარმის, ელექტრონული სიგარეტის, შესავსები მოწყობილობის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს ნაწარმის მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის რეალიზატორი ვერ ადასტურებს, რომ თამბაქოს ნაწარმის, ახალი თამბაქოს ნაწარმის, ელექტრონული სიგარეტის, შესავსები მოწყობილობის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს ნაწარმის მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის მყიდველი 18 წლის ასაკს მიღწეული პირია, იგი ვალდებულია ამ პირს მოსთხოვოს მისი სრულწლოვანების დამადასტურებელი დოკუმენტი და მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ იგი 18 წლის ასაკს მიღწეული პირია, მიჰყიდოს თამბაქოს ნაწარმი, მათ შორის, მოსაწევი და არმოსაწევი თამბაქოს ნაწარმი, ახალი თამბაქოს ნაწარმი, ელექტრონული სიგარეტი, შესავსები მოწყობილობა, თამბაქოს აქსესუარი ან/და თამბაქოს ნაწარმის მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობა.“

6. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 5[1] მუხლი:

„მუხლი 5[1]. მოსაწევი თამბაქოს ნაწარმის სტანდარტიზებული შეფუთვით რეალიზაცია ან/და განლაგება

1. აკრძალულია მოსაწევი თამბაქოს ნაწარმის სტანდარტიზებული შეფუთვის გარეშე რეალიზაცია ან/და განლაგება.

2. მოსაწევი თამბაქოს ნაწარმის და მისი შეფუთვის სტანდარტიზების წესი განისაზღვრება ამ კანონით და საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტით.“

7. მეექვსე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. თამბაქოს ნაწარმის შეფუთვა და დიზაინი

1. საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმის დასახელება, თამბაქოს ნაწარმის შეფუთვის ან/და ეტიკეტის არცერთი ელემენტი არ უნდა შეიცავდეს ყალბ, შეცდომაში შემყვან ან არასწორი წარმოდგენის შემქმნელ ინფორმაციას თამბაქოს ნაწარმის თვისებების, მავნე ზემოქმედების ან გამოფრქვეული მავნე ნივთიერებების თაობაზე; არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ენაზე ან რომელიმე უცხოურ ენაზე სიტყვა, აბრევიატურა, ნიშანი, გამოსახულება, გრაფიკი ან ციფრი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ შექმნის არასწორ წარმოდგენას, რომ თითქოს თამბაქოს ეს ნაწარმი სხვა ნაწარმთან შედარებით ნაკლებად მავნებელია, მათ შორის, არ შეიძლება მათი გამოყენება ბრენდის ან სავაჭრო ნიშნის დასახელებაში, კერძოდ, სიტყვებისა: „მსუბუქი“, „რბილი“, „ნაკლებად მძაფრი“, „ულტრამსუბუქი“, „დაბალი შემცველობით“, „ექსტრა“, „ულტრა“, „მენთოლი“ და სხვა.

2. მოსაწევი თამბაქოს ნაწარმის თითოეულ კოლოფსა/ბლოკსა და შეფუთვაზე განთავსებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დამტკიცებული სამედიცინო გაფრთხილება, რომელიც უნდა მოიცავდეს ძირითად გაფრთხილებას, დამატებით გაფრთხილებას (საქართველოს კანონმდებლობით დამტკიცებული შესაბამისი პიქტოგრამით, ხოლო ამ კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – შესაბამისი ტექსტობრივი წარწერით) და საკონტაქტო ტელეფონის ნომერს.

3. მოსაწევი თამბაქოს ნაწარმისთვის საქართველოს მთავრობა ამტკიცებს ძირითადი სამედიცინო გაფრთხილების 3 ნიმუშს, დამატებითი სამედიცინო გაფრთხილების 9 ნიმუშს და შესაბამისი პიქტოგრამის 9 ნიმუშს, ტექსტობრივი წარწერის 1 ნიმუშს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს, აგრეთვე სამედიცინო გაფრთხილების კომპიუტერულ შრიფტსა და ზომას, გამოსახულების ხარისხის შესაბამის პარამეტრებს.

4. მოსაწევი თამბაქოს პიქტოგრამის ნიმუში უნდა შეესაბამებოდეს და შეიცავდეს დამატებითი სამედიცინო გაფრთხილების ტექსტს და უნდა იკავებდეს სამედიცინო გაფრთხილების საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ნაწილს.

5. მოსაწევი თამბაქოს ნაწარმის სამედიცინო გაფრთხილებების როტაცია ხდება შემდეგნაირად:

ა) თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელმა ან/და იმპორტიორმა წლის განმავლობაში უნდა გამოიყენოს ყველა ძირითადი სამედიცინო გაფრთხილება, იმგვარად, რომ ისინი თანაბრად განაწილდეს გასაყიდი თამბაქოს ნაწარმის თითოეული სახეობის კოლოფსა/ბლოკსა და შეფუთვაზე;

ბ) თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელმა ან/და იმპორტიორმა წლის განმავლობაში უნდა აირჩიოს 3 დამატებითი სამედიცინო გაფრთხილება შესაბამისი პიქტოგრამებით, იმგვარად, რომ ისინი თანაბრად განაწილდეს გასაყიდი თამბაქოს ნაწარმის თითოეული სახეობის კოლოფსა/ბლოკსა და შეფუთვაზე.

6. მოსაწევი თამბაქოს ნაწარმის ყოველ შეფუთვაზე სამედიცინო გაფრთხილება განთავსებული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო ენაზე (ხოლო აფხაზეთის

ავტონომიურ რესპუბლიკაში – აგრეთვე აფხაზურად), ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, და უნდა იყოს:

ა) დაწერილი გარკვევით და მკაფიოდ;

ბ) დაბეჭდილი თამბაქოს ნაწარმის შეფუთვაზე (გარდა გარე გამჭვირვალე შეფუთვისა), არ უნდა იყოს დაფარული, დამახინჯებული ან შეცვლილი, შეფუთვის გახსნისას არ უნდა დაზიანდეს ან მას არ უნდა მოსცილდეს;

გ) დაბეჭდილი კომპიუტერული შრიფტით, გამუქებულად, თეთრ ფონზე შავი ასოებით ან შავ ფონზე თეთრი ასოებით; თეთრი ფონი შემოფარგლული უნდა იყოს შავი ჩარჩოთი, ხოლო შავი ფონი – თეთრი ჩარჩოთი, რომელიც არ კვეთს და არ ეხება ასოებს; ჩარჩოს ხაზის სისქე უნდა იყოს 1 მმ;

დ) განთავსებული თამბაქოს ნაწარმის შეფუთვის წინა და უკანა დიდ გვერდებზე, ზედა და ქვედა კიდეების პარალელურად, და არ უნდა იკავებდეს გვერდის საერთო ფართობის 65 პროცენტზე ნაკლებს, რომელშიც შედის შემომფარგვლელი ხაზები;

ე) განთავსებული: დამატებითი სამედიცინო გაფრთხილება – კოლოფის წინა გვერდზე, ხოლო ძირითადი სამედიცინო გაფრთხილება – უკანა გვერდზე.

7. არ შეიძლება სამედიცინო გაფრთხილება დაიფაროს სხვა დაბეჭდილი ინფორმაციით ან გამოსახულებით.

8. არმოსაწევი თამბაქოს ნაწარმის სამედიცინო გაფრთხილება მოთავსებული იქნება შეფუთვის წინა და უკანა დიდ გვერდებზე და არ დაიკავებს საერთო ფართობის 30 პროცენტზე ნაკლებს, რომელშიც შედის შემომფარგვლელი ხაზები. თითოეული ერთეული შეფუთვა და გარე შეფუთვა უნდა ატარებდეს შემდეგ სამედიცინო გაფრთხილებას: „თამბაქოს პროდუქტი აზიანებს თქვენს ჯანმრთელობას და იწვევს მიჩვევას“. აღნიშნული სამედიცინო გაფრთხილების ტექნიკური პარამეტრები დაექვემდებარება შემდეგ მოთხოვნებს: დაბეჭდილი იქნება შავი Sylfaen შრიფტით თეთრ ზედაპირზე. იგი უნდა გამოჩნდეს ერთეული შეფუთვის წინა და უკანა უდიდეს გვერდებზე და ნებისმიერ გარე შეფუთვაზე. გაფრთხილება მოთავსებული იქნება ცენტრში, კუბის ფორმის და გარე შეფუთვაზე, ასევე იქნება ერთეული შეფუთვის ზედა და ქვედა კიდეების პარალელური. სამედიცინო გაფრთხილება დაფარავს იმ ზედაპირის 30 პროცენტს, რაზეც დაიბეჭდება.

9. ელექტრონული სიგარეტის და შესავსები მოწყობილობის სამედიცინო გაფრთხილებისთვის გათვალისწინებულია შემდეგი მოთხოვნები:

ა) სამედიცინო გაფრთხილება ელექტრონულ სიგარეტებზე დაიბეჭდება არმოსაწევი თამბაქოს სამედიცინო გაფრთხილების ტექნიკური პარამეტრების შესაბამისად.

ბ) ელექტრონული სიგარეტის ერთეული შეფუთვაში და შესავსებ მოწყობილობაში ასევე განთავსებული უნდა იყოს საინფორმაციო ფურცელი, რომელიც აცნობებს არამწეველებს და ახალგაზრდებს: გვერდითა მოვლენებს, გაფრთხილებას რისკ ჯგუფებზე, შესაძლო უარყოფით ეფექტებს, შეჩვევას და ტოქსიურობას და მწარმოებლის საკონტაქტო მონაცემებს;

გ) ელექტრონული სიგარეტის ერთეული შეფუთვაზე და შესავსებ მოწყობილობაზე განთავსებული უნდა იყოს ნაწარმის ყველა ინგრედიენტის შესახებ ინფორმაცია წონის მიხედვით, ნაწარმში ნიკოტინის შემცველობა, ერთეულის ნომერი და რეკომენდაცია, რომ ნაწარმი არ იყოს ხელმისაწვდომი ბავშვებისთვის;

დ) ელექტრონული სიგარეტის და შესავსები მოწყობილობის ერთეულ შეფუთვაზე და გარე შეფუთვაზე განთავსებული უნდა იყოს რომელიმე შემდეგი სამედიცინო გაფრთხილება:

„ნაწარმი შეიცავს ნიკოტინს, რომელსაც ახასიათებს მიჩვევის მაღალი ხარისხი. მისი გამოყენება არ არის რეკომენდირებული არამწეველებისთვის"; ან

„ნაწარმი შეიცავს ნიკოტინს, რომელსაც ახასიათებს მიჩვევის მაღალი ხარისხი".

10. ამ კანონით და საქართველოს მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტით განისაზღვრება მოსაწევი თამბაქოს ნაწარმის და მისი შეფუთვის სტანდარტიზების წესი, რომლის მიზანია:

ა) თამბაქოს ნაწარმის მიმზიდველობის შემცირება;

ბ) სამედიცინო გაფრთხილების ეფექტიანობისა და თვალსაჩინოების გაზრდა;

გ) თამბაქოს ნაწარმის შეფუთვით თამბაქოს ნაწარმის ან მისი მოხმარების თაობაზე მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობის შემცირება.

11. აკრძალულია მოსაწევი თამბაქოს ნაწარმის შეფუთვაზე (კოლოფი, ბლოკი, კონტეინერი და სხვა) და თითოეულ ღერზე ბრენდის, ლოგოს, სასაქონლო ნიშნის ან მისი აღმნიშვნელი სხვა ელემენტის გამოყენება. მოსაწევი თამბაქოს ნაწარმის შეფუთვაზე (კოლოფი, ბლოკი, კონტეინერი და სხვა) ნებისმიერი წარწერა შესრულებული უნდა იყოს ერთიანი, უნიფიცირებული შრიფტით, საქართველოს სახელმწიფო ენაზე და მითითებული უნდა იყოს მწარმოებელი ქვეყანა. ამასთანავე, აკრძალულია ფილტრიან სიგარეტზე, უფილტრო სიგარეტზე, პაპიროსზე, სიგარასა და სიგარილაზე რაიმე სახის წარწერის დატანა.

12. საქართველოს მთავრობა ნორმატიული აქტით იღებს გადაწყვეტილებას მოსაწევი თამბაქოს ნაწარმის შემდეგი მახასიათებლების ან/და ელემენტების დაშვების (გამოყენების), აკრძალვის ან მათ მიმართ რაიმე სახის მოთხოვნების განსაზღვრის თაობაზე:

ა) თამბაქოს ნაწარმის ან მისი შეფუთვის ფერი, ზომა და ფორმა;

ბ) თამბაქოს ნაწარმის შეფუთვის მასალა და ფაქტურა;

გ) თამბაქოს ნაწარმის შეფუთვის გახსნის სახე;

დ) თამბაქოს ნაწარმის გარსი და შიგთავსი;

ე) თამბაქოს ნაწარმსა და მის შეფუთვაზე გარკვეული სიტყვები ან ნიშნები (მათ შორის, გარკვეული სახის ბრენდის, ლოგოს ან სავაჭრო ნიშანი);

ვ) სიტყვები ან ნიშნები, რომელთა თამბაქოს ნაწარმზე ან მის შეფუთვაზე დატანაც დაშვებულია;

ზ) თამბაქოს ნაწარმის და მისი შეფუთვის განმასხვავებელი მახასიათებლები, მათ შორის, თამბაქოს ნაწარმის და მისი შეფუთვის იერსახის ან შინაარსის შეცვლისკენ მიმართული მახასიათებლები, თამბაქოს ნაწარმის გაყიდვის შემდეგ ხმის გამოსაცემად ან სურნელის გამოსაფრქვევად;

თ) თამბაქოს ნაწარმის შეფუთვაში მოთავსებული ან გამოყენებული საგანი ან მასალა, რომელიც არ არის ამ შეფუთვის განუყოფელი ან აუცილებელი ნაწილი;

ი) თამბაქოს ნაწარმზე ან მის შეფუთვაზე მიმაგრებული საგანი, გარდა სავალდებულო აქციზური მარკისა და ამ მუხლით განსაზღვრული სამედიცინო გაფრთხილებისა;

კ) თამბაქოს ნაწარმის წონის განმსაზღვრელი, რომელიც შეიძლება მოთავსებული იყოს თამბაქოს ნაწარმის შეფუთვაში;

ლ) თამბაქოს ნაწარმის ისეთი მახასიათებელი ან ელემენტი, რომელიც გამოიწვევს ამ ნაწარმისთვის დამახასიათებელი გემოს მიცემას.

13. მოსაწევ თამბაქოს ნაწარმის შეფუთვაზე ბრენდის ან ვარიანტის სახელის გამოსახვა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტის შესაბამისად. საქართველოს მთავრობის აღნიშნული ნორმატიული აქტით შესაძლებელია განისაზღვროს:

ა) ბრენდის ან ვარიანტის სახელის სიგრძის ლიმიტი;

ბ) ბრენდის ან ვარიანტის სახელში იმ სიტყვებისა და ფერების გამოყენების აკრძალვა, რომლებმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მომხმარებელი თამბაქოს ნაწარმის მახასიათებლების, ჯანმრთელობაზე ზეგავლენის, რისკის ან გამოფრქვეული ნივთიერებების შესახებ, ან იმის თაობაზე, რომ თითქოს თამბაქოს ეს ნაწარმი სხვა ნაწარმთან შედარებით ნაკლებად მავნებელია ან მასზე უკეთესია, რადგან ნატურალური ან ორგანულია, ან სასარგებლოა ცხოვრების ჯანსაღი წესისთვის;

გ) ისეთი სიტყვების ან ფრაზების გამოყენება, რომლებიც გამიზნულია მომხმარებლის ეკონომიკური წახალისებისთვის;

დ) მოთხოვნები სიტყვების ან ნიშნების გამოსახვის წესის შესახებ, მათ შორის, მანერა და გარემოებები, რომლითაც და რომლებშიც ეს სიტყვები ან ნიშნები გამოისახება, შესაბამისი შრიფტის სახე, ზომა და ტიპი, აგრეთვე თამბაქოს ნაწარმის შეფუთვაზე სიტყვების მდებარეობა და ორიენტაცია.

14. ამ მუხლის მე-10–მე-13 პუნქტების შესაბამისად მიღებული ნორმატიული აქტები არ უნდა ახდენდეს გავლენას პირის ინტელექტუალური საკუთრების უფლებაზე – დაარეგისტრიროს, ფლობდეს და განკარგავდეს სავაჭრო ნიშანს და საავტორო უფლებას.“

8. მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. მომხმარებლის ფალსიფიცირებული თამბაქოს ნაწარმისგან დაცვა

1. მომხმარებლის ფალსიფიცირებული პროდუქტისაგან დაცვის მიზნით საქართველოს მთავრობა ადგენს შეფუთვაზე (თამბაქოს მწარმოებლის შესახებ) აღნიშვნათა ჩამონათვალს.

2. აკრძალულია ფალსიფიცირებული თამბაქოს ნაწარმის წარმოება, შენახვა, ტრანსპორტირება და რეალიზაცია."

9. მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით და დაემატოს შემდეგი რედაქციის 8[1] მუხლი:

„მუხლი 8 - შეტყობინება ახალი თამბაქოს ნაწარმის შესახებ

1. ახალი თამბაქოს ნაწარმის მწარმოებლები და იმპორტიორები ვალდებული არიან შეატყობინონ სამინისტროს ნებისმიერი ახალი თამბაქოს ნაწარმის შესახებ, რომლის ბაზარზე განთავსებასაც განიზრახავენ. შეტყობინების წარდგენა უნდა მოხდეს ბაზარზე დაგეგმილ განთავსებამდე ექვსი თვით ადრე სამინისტროს მიერ განსაზღვრული ფორმით. შეტყობინებას თან უნდა დაერთოს შესაბამისი ახალი თამბაქოს ნაწარმის დეტალური აღწერა, ასევე მისი გამოყენების ინსტრუქცია და ინგრედიენტებისა და გამოფრქვეული ნივთიერებების შესახებ ინფორმაცია მე-4 მუხლის შესაბამისად.

2. ახალი თამბაქოს ნაწარმის შესახებ შეტყობინების წარმდგენი მწარმოებლები და იმპორტიორები ასევე ვალდებული არიან წარუდგინონ სამინისტროს:

ა) ახალი თამბაქოს ნაწარმის, კერძოდ, მისი ინგრედიენტებისა და გამოყოფილი ნივთიერებების, ტოქსიკურობის, დამოკიდებულების და შეჩვევის შესახებ ხელმისაწვდომი სამეცნიერო შრომები;

ბ) სხვადასხვა მომხმარებელთა ჯგუფის, ახალგაზრდებისა და მოქმედი მწეველების ჩათვლით მოხმარების შესახებ ხელმისაწვდომი შრომები, დასკვნები და ბაზრის კვლევები;

გ) სხვა ხელმისაწვდომი და რელევანტური ინფორმაცია, მათ შორის ნაწარმის რისკისა და სარგებლის, თამბაქოს მოხმარების შეწყვეტაზე მისი მოსალოდნელი ეფექტების, თამბაქოს მოხმარების დაწყებაზე მოსალოდნელი ეფექტების ანალიზი და მომხმარებელთა მიერ ნაწარმის აღქმის პროგნოზირებული მონაცემები;

დ) ახალი თამბაქოს ნაწარმის მწარმოებლები და იმპორტიორები სამინისტროს წარუდგენენ ნებისმიერ ახალ ან განახლებულ ინფორმაციას კვლევების, ნაშრომების და ა-გ პუნქტებში მითითებული სხვა ინფორმაციის შესახებ.

3. ახალი თამბაქოს ნაწარმი, რომელიც განთავსდება ბაზარზე დაექვემდებარება წინამდებარე კანონით გათვალისწინებული შეფუთვის, გაყიდვის და/ან განთავსების და მოხმარების მოთხოვნებს იმისდა მიხედვით, რომელ განსაზღვრებაში მოხვდება ახალი თამბაქოს ნაწარმი - მოსაწევი თუ არმოსაწევი თამბაქოს კატეგორიაში.

მუხლი 8[1]. ელექტრონული სიგარეტები

1. ელექტრონული სიგარეტების და შესავსები მოწყობილობის მწარმოებლები და იმპორტიორები ვალდებული არიან შეატყობინონ სამინისტროს ნებისმიერი იმგვარი

ნაწარმის შესახებ, რომლის ბაზარზე განთავსებასაც განიზრახავენ. შეტყობინების წარდგენა უნდა მოხდეს ბაზარზე განზრახულ განთავსებამდე ექვსი თვით ადრე. იმგვარი ელექტრონული სიგარეტების და შესავსები მოწყობილობის შესახებ, რომლებიც წინამდებარე კანონის ამოქმედების თარიღზე უკვე განთავსებულია ბაზარზე, შეტყობინების წარდგენა უნდა მოხდეს ამ კანონის ამოქმედებიდან ექვსი თვის ვადაში.

ახალი შეტყობინება წარედგინება ნაწარმის ნებისმიერი და თითოეული არსებითი ცვლილების შემთხვევაში. შეტყობინება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას, იმის მიხედვით თუ რომელ ნაწარმს ეხება - ელექტრონულ სიგარეტს თუ შესავსებ კონტეინერს:

ა) მწარმოებლის და, შესაბამის შემთხვევაში საქართველოში იმპორტიორის, სახელი (სახელწოდება) და საკონტაქტო დეტალები;

ბ) ნაწარმის შემცველობა და მოხმარების შედეგად გამოყოფილი ნივთიერებები, ბრენდის სახელწოდებითა და ტიპის მიხედვით, შესაბამისი ოდენობების მითითებით;

გ) ტოქსიკოლოგიური მონაცემები ნაწარმის ინგრედიენტებისა და გამოყოფილი ნივთიერებების შესახებ, მათ შორის გაცხელების დროს, შესუნთქვისას მომხმარებელთა ჯანმრთელობაზე არსებულ ეფექტზე მითითება, ნებისმიერი დამატებითი ეფექტის გათვალისწინებით;

დ) ნორმალურ ან გონივრულად განჭვრეტად პირობებში მოხმარებისას მიღებული ნიკოტინის დოზების შესახებ ინფორმაცია;

ე) ნაწარმის კომპონენტების, მათ შორის, შესაბამის შემთხვევაში, ელექტრონული სიგარეტის ან შესავსები მოწყობილობის გასახსნელის და შესავსები მექანიზმის აღწერა;

ვ) წარმოების პროცესის აღწერა, მითითება მოიცავს თუ არა ის წარმოებათა სერიებს, და განცხადება იმის შესახებ, რომ წარმოების პროცესში უზრუნველყოფილია წინამდებარე მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

ზ) განცხადება იმის შესახებ, რომ მწარმოებელსა და იმპორტიორს აკისრიათ სრული პასუხისმგებლობა ნაწარმის ხარისხსა და უსაფრთხოებაზე ბაზარზე განთავსებისას და ნორმალურ ან გონივრულად განჭვრეტად პირობებში მოხმარებისას.

2. სამინისტრო ვალდებულია უზრუნველყოს, რომ:

ა) ნიკოტინის შემცველი სითხე ბაზარზე განთავსდეს მხოლოდ შესავსები მოწყობილობის სახით, რომლის მოცულობაც არ აღემატება 10 მილილიტრს, ერთჯერადი გამოყენების ელექტრონული სიგარეტების ან ერთჯერადი გამოყენების კარტრიჯების სახით, იმ პირობით, რომ კარტრიჯების ან კაფსულების მოცულობა არ აღემატება 2 მილილიტრს.

ბ) ნიკოტინის შემცველი სითხე არ შეიცავს 20 მგ./მლ.-ზე მეტ ნიკოტინს.

3. ელექტრონული სიგარეტებისა და შესავსები მოწყობილობის ერთეულ კოლოფში სავალდებულოა განთავსდეს საინფორმაციო ფურცელი, რომელზეც მითითებული იქნება შემდეგი ინფორმაცია:

ა) ნაწარმის გამოყენებისა და შენახვის ინსტრუქცია, იმ მითითების ჩათვლით, რომ ნაწარმის ახალგაზრდებისა და არამწეველებისთვის გამოყენება არარეკომენდირებულია;

ბ) უკუჩვენებები;

გ) კონკრეტული რისკის ჯგუფებისთვის გაფრთხილებები;

დ) შესაძლო უარყოფითი ეფექტები;

ე) დამოკიდებულება და ტოქსიკურობა; და

ვ) მწარმოებლის ან იმპორტიორის საკონტაქტო დელატები საქართველოში.

10. მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. თამბაქოს ნაწარმის, შესავსები მოწყობილობის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს ნაწარმის მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის ექსპორტი და იმპორტი

1. თამბაქოს ნაწარმის, შესავსები მოწყობილობის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს ნაწარმის მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის ექსპორტი და იმპორტი ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ამ კანონით (გარდა ამავე კანონის მე-10 მუხლისა) დადგენილი ნორმები არ ვრცელდება პირის მიერ თამბაქოს ნაწარმის საჰაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში 1 კალენდარული დღის, ხოლო სხვა შემთხვევაში – 30 კალენდარული დღის განმავლობაში შემოტანილ, საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი რაოდენობის თამბაქოს ნაწარმზე.“

11. მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. თამბაქოს ნაწარმის მოხმარების შეზღუდვა

1. თამბაქოს მოწევა აკრძალულია:

ა) ნებისმიერი დანიშნულების შენობა-ნაგებობაში, გარდა ამ მუხლის 1[1] პუნქტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობებისა;

ბ) საზოგადოებრივ ტრანსპორტში, გარდა ტაქსისა და კატერისა;

გ) საგანმანათლებლო (ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლესი საგანმანათლებლო, პროფესიული), საყმზრდელო და საგანმანათლებლო-საყმზრდელო დაწესებულებების, სხვა სასწავლო დაწესებულებების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე ახალგაზრდობის ბანაკების, ბავშვთა გასართობი ცენტრების და 18 წლამდე ასაკის პირებისთვის განკუთვნილი სხვა დაწესებულებების შენობა-ნაგებობებში და მათ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე, აგრეთვე 18 წლამდე ასაკის პირებისთვის განკუთვნილ საზოგადოებრივ შეკრებებზე;

დ) სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულებების შენობა-ნაგებობებში და მათ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე, გარდა ამ მუხლის 1^2 პუნქტით გათვალისწინებული დაწესებულებებისა;

ე) ბენზინგასამართი, გაზგასამართი და გაზგამანაწილებელი სადგურების, აგრეთვე იმ დაწესებულებათა შენობა-ნაგებობებში და მათ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე, სადაც ცეცხლსაშიში ნივთიერებები ინახება;

ვ) სტადიონზე, რომელსაც ჰყავს ადმინისტრაცია.

1^1. თამბაქოს მოწევა ნებადართულია შემდეგ შენობა-ნაგებობებში:

ა) ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილას (თუ ფიზიკური პირი/ფიზიკური პირის ოჯახი ფაქტობრივად ცხოვრობს ამ საცხოვრებელ ადგილას და ეს საცხოვრებელი ადგილი იმავდროულად სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებელი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი არ არის);

ბ) თამბაქოს ნაწარმის კვამლის შემსწავლელ სპეციალიზებულ ლაბორატორიულ დანადგარში;

გ) პენიტენციურ დაწესებულებაში;

დ) „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გაცემული ნებართვის საფუძველზე მოწყობილ სიგარაბარში (მხოლოდ ამ კანონის მე-3 მუხლის „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სიგარისა);

ე) სამორინეში;

ვ) აეროპორტის სატრანზიტო ზონაში, ამ მუხლის 1^3 პუნქტით დადგენილი წესით;

ზ) წინასწარი დაკავების იზოლატორში.

თ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი განთავსების ცენტრში.

1^2. სტაციონარული ფსიქიატრიული და პალიატიური მკურნალობისთვის განკუთვნილ დაწესებულებებში თამბაქოს მოწევა ნებადართულია შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის სპეციალური ბრძანებით დადგენილი წესით, ზოგიერთი მხარდაჭერის მიმღები ან მძიმედ ავადმყოფი პაციენტისთვის, სპეციალურად განსაზღვრულ ადგილას, რომელიც სრულად (კედლებით) უნდა იყოს გამიჯნული დაწესებულების სხვა ნაწილისგან/ტერიტორიისგან და უნდა ჰქონდეს ვენტილაცია ან ღია სივრცეში გამავალი ფანჯარა. ასეთი პაციენტისთვის თამბაქოს მოწევა, აღნიშნული დაწესებულების ხელმძღვანელის სპეციალური ბრძანებით, დასაშვებია პალატაშიც, თუ ის იზოლირებულია სხვა პაციენტებისგან.

1^3. აეროპორტის სატრანზიტო ზონაში თამბაქოს მოწევა დასაშვებია მხოლოდ სპეციალურ მოსაწევ ოთახში, რომელსაც უნდა ჰქონდეს ცალკე სავენტილაციო სისტემა, რომლიდანაც თამბაქოს ნაწარმის კვამლი სხვა სივრცეში არ უნდა ხვდებოდეს და რომელშიც არ უნდა ხდებოდეს საკვებისა და სასმელის შეტანა და მოხმარება. აეროპორტის სატრანზიტო ზონაში სპეციალური მოსაწევი ოთახის გამოყოფის წესი, აგრეთვე სპეციალური მოსაწევი ოთახისთვის სპეციალური მოთხოვნები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით.

1[4]. პენიტენციურ დაწესებულებაში თამბაქოს ნაწარმის მოხმარების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

2. აკრძალულია თამბაქოს მოწევის ან მისი მოხმარების სხვა ფორმების დემონსტრირება მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, სხვა ბეჭდური ან ელექტრონული საშუალებით, მასობრივი ჩვენებისა და თეატრალური წარმოდგენის მეშვეობით, გარდა ღია სივრცეში პირდაპირი ეთერის მიმდინარეობისას კადრში მწეველის შემთხვევითი მოხვედრისა.

3. დაწესებულება (იურიდიული პირი, სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი, პირთა გაერთიანება იურიდიული პირის შეუქმნელად, მეწარმე სუბიექტი, საჯარო დაწესებულება, მათ შორის, სახელმწიფო ორგანო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო) ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ იმ შენობა-ნაგებობაში ან/და ტერიტორიაზე, სადაც ის საქმიანობას ეწევა, ამ კანონით დადგენილი თამბაქოს მოწევის აკრძალვა/შეზღუდვა;

ბ) არ დაუშვას ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ იმ შენობა-ნაგებობაში ან/და ტერიტორიაზე, სადაც ის საქმიანობას ეწევა, თამბაქოს მოხმარების შედეგად არსებული კვამლის, ფერფლის, ნამწვის არსებობა, აგრეთვე ჩილიმის განთავსება;

გ) შეიმუშაოს და დაამტკიცოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ იმ შენობა-ნაგებობაში ან/და ტერიტორიაზე, სადაც ის საქმიანობას ეწევა, თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესები;

დ) ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ იმ შენობა-ნაგებობაში ან/და ტერიტორიაზე, სადაც ის საქმიანობას ეწევა, ყველა შესასვლელში და სხვა თვალსაჩინო ადგილას განათავსოს თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესები, შესაბამისი წარწერა და ნიშანი თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის თაობაზე, აგრეთვე იმ ფიზიკური პირის/დაწესებულების საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და სხვა ინფორმაცია, რომელთან დაკავშირებაც იქნება შესაძლებელი თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესების დარღვევის შემთხვევაში;

ე) არ დაუშვას თამბაქოს მოწევა, ხოლო თამბაქოს მოწევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, დაუყოვნებლივ აღკვეთოს იგი ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ იმ შენობა-ნაგებობაში ან/და ტერიტორიაზე, სადაც ის საქმიანობას ეწევა.

4. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლი, მესაკუთრე/მფლობელი ვალდებულია შეასრულოს შესაბამის საზოგადოებრივ ტრანსპორტში თამბაქოს მოწევის აკრძალვის/შეზღუდვის წესები და აღკვეთოს ამ წესების შეუსრულებლობის ფაქტები.“

მუხლი 2.

1. 2018 წლის 1 ნოემბრამდე:

ა) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა გამოსცეს ამ კანონის პირველი მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული კანონის მე-8 და მე-8[1] მუხლით გათვალისწინებული ბრძანებები;

ბ) შესაბამისმა დაწესებულებებმა/უწყებებმა უზრუნველყონ თავიანთი სამართლებრივი აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

მუხლი 3.

1. ეს კანონი, გარდა ამ მუხლის მე-2-5 პუნქტებში მითითებული მუხლებისა და პუნქტებისა ამოქმედდეს, გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-6 პუნქტი, კერძოდ მასში მითითებული კანონის 5[1] მუხლი და მე-7 პუნქტში მითითებული კანონის მე-6 მუხლის 10-13 პუნქტები ამოქმედდეს 2022 წლის 31 დეკემბრიდან.

4. ამ კანონის პირველი მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.“

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი

[●], 2018 წ.

განმარტებითი ბარათი

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონის პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზანია „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანა, რათა ასახოს თანამედროვე მიღწევები მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში ახალ თამბაქოს და ნიკოტინის ნაწარმთან დაკავშირებით. სულ უფრო ხშირად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლები თანხმდებიან, რომ თამბაქო და ნიკოტინის ნაწარმი, რომელთაც არ უკავშირდებათ წვის პროცესი, განსხვავდებიან ტრადიციული სიგარეტებისგან (ან თამბაქოს ნაწარმისგან, რომლებიც განკუთვნილია მოსაწევად), რის გამოც ისინი ტრადიციული სიგარეტებისგან განსხვავებულად უნდა დარეგულირდნენ. ეს საშუალებას მისცემს მწეველებს გადაერთონ ახალ თამბაქოს ნაწარმზე ჯანმრთელობის რისკების შესამცირებლად. „თამბაქოს კონტროლის შესახებ “ საქართველოს კანონი, რომელიც უმეტესწილად ამოქმედდა 2018 წლის 1 მაისიდან, ერთნაირად არეგულირებს ყველა თამბაქოს და ნიკოტინის ნაწარმს. ის არეგულირებს თამბაქოს მოხმარების ყველაზე მომაკვდინებელ გზას და თამბაქოს ყველაზე მომაკვდინებელ ნაწარმს, მაგრამ ამავე დროს, ბარიერებს უქმნის მწეველებს, წვდომა ჰქონდეთ პოტენციურად უკეთეს ალტერნატივებზე, რაც მოწევიდან გამოწვეული სიკვდილიანობის და დაავადებების ტვირთვის შემცირების საშუალებას მისცემდათ.

კანონპროექტით შემოთავაზებული ცვლილებები მიზნად არ ისახავს ნიკოტინის ახალი და განვითარებადი ნაწარმის რეგულირების მიღმა დატოვებას. იგი უბრალოდ ამ პროდუქტების სხვაგვარად რეგულირების შესაძლებლობას იძლევა ტრადიციულ სიგარეტებთან შედარებით მათი დაბალი რისკებიდან გამომდინარე. დამატებით აღსანიშნავია, რომ არც ახალი თამბაქოს ნაწარმი და არც ელექტრონული სიგარეტები არ არის საქართველოში ფართოდ კომერციალიზირებული (გავრცელებული), რაც საშუალებას აძლევს საკანონმდებლო ორგანოს საქართველოში მათ ხელმისაწვდომობამდე სათანადოდ დაარეგულიროს ახალი და განვითარებადი თამბაქოს ნაწარმი.

თამბაქოს ნაწარმის რეგულაციები უპირველესად მიმართულია საზოგადოების ჯამრთელობის დაცვისაკენ. არსებული თამბაქოს რეგულაციები განვითარებულ ქვეყნებში მიმართულია იმისაკენ, რათა შემცირდეს მოწევის დაწყების სურვილი, ასევე შემცირდეს არსებულ მწეველთა რაოდენობა და ხელი შეუშალოს მოსაწევი საშუალებების გავრცელებას ტრადიციული წვადი თამბაქოს ნაწარმის (ძირითადად სიგარეტის) მიწოდებისა და მოთხოვნის შემცირების გზით.

ზემოხსენებულისგან განსხვავებით არა-წვადი ნაწარმი (რომლებიც მათ შორის მოიცავს ელექტრო სიგარეტებსა და ახალ თამბაქოს ნაწარმს) ფუნდამენტურად განსხვავდება

სიგარეტებისა და სხვა წვადი თამბაქოს ნაწარმისგან. ფუნდამენტური განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ელექტრო სიგარეტები და ზოგიერთი ახალი თამბაქოს ნაწარმი არ ახდენს თამბაქოს აალებას და არ გამოყოფს კვამლს.

საზოგადოებრივ ჯამრთელობაზე ზედამხედველი საჯარო უწყებები და მარეგულირებელი სააგენტოები თანხმდებიან, რომ მოწევასთან დაკავშირებული დაავადებების გამოწვევის ძირითადი მიზეზი არის ათასობით ის სხვა ქიმიური ელემენტი, რომელიც გხვდება სიგარეტის კვამლში და არა თავად ნიკოტინი.

„სიგარეტებში არსებული ნიკოტინი არ არის კიბოს, ფილტვებისა და გულის დაავადებებისა გამოწვევის პირდაპირი მიზეზი, რითაც ყოველწლიურად ასი ათასობით ამერიკელი იღუპება. [...] თამბაქოს შემადგენელი სხვა ქიმიური ელემენტები და თამბაქოს აალებით გამოწვეული კვამლი არის ის პირდაპირი და ძირითადი მიზეზი, რაც იწვევს დაავადებებსა და სიკვდილს და არა თავად ნიკოტინი." (FDA პრეს რელიზი: FDA ანონსებს საყოველთაო რეგულირების გეგმას, რათა შეცვალოს თამბაქოსგან გამოწვეული დაავადებებისა და სიკვდილიანობის ტრაექტორია. ივლისი, 2017 წელი).

„თამბაქოს კვამლში შემავალი სხვა მრავალი ელემენტი და არა ნიკოტინი არის ის, რაც კლავს მწეველთან ნახევარს... ამგვარი მწეველებისათვის ზიანის შემცირების ვარიანტს წარმოადგენს სიგარეტების ჩანაცვლება, სასურველია სრულად, უფრო ნაკლებად საშიში ნიკოტინის წყაროებით." (ჯონ ბრიტონი და ან მაკნეილი, ლანცეტი: ნიკოტინის რეგულაცია და თამბაქოსგან მიყენებული ზიანის შემცირება გაერთიანებულ სამეფოში, ივნისი, 2013 წელი).

2017 წლის 28 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების საკვებსა და მედიკამენტებზე სანიტარული ზედამხედველობის სამსახურმა (FDA) წარმოადგინა საყოველთაო გეგმა საზოგადოებრივი ჯამრთელობის გასაუმჯობესებლად, რაც მოიცავს სიგარეტის გამოყენების შეზღუდვას და სრულწლოვანი მწეველებისათვის სიგარეტის სხვა უფრო ნაკლებად მავნებელი ალტერნატივებით ჩანაცვლებას, მაგალითად ისეთები, როგორიც არის ელექტრო სიგარეტები და სხვა არა-წვადი ალტერნატივები. FDA-ს მიხედვით:

„სიგარეტების ჩანაცვლება ისეთი ნაწარმით, რომელიც მხოლოდ მცირედით იწვევს ან საერთოდ არ იწვევს შეჩვევას, სხვა მრავალთა შორის ისეთი ნაწარმით, როგორიც არის ელექტრონული სიგარეტები, წარმოადგენს იმედის მომცემ ფუნდამენტს თამბაქოსგან გამოწვეული ზიანის საყოველთაო შემცირებისთვის. აღნიშნული მიმართულებით სამუშაოდ, FDA ემხრობა, რომ დაწესდეს სათანადო ბალანსი საზოგადოების ჯამრთელობის უზრუნველყოფასა და უფრო ნაკლებად მავნე ნიკოტინის მიწოდების უზრუნველყოფას შორის".

„ჩვენი მცდელობის ქვაკუთხედი უნდა მდგომარეობდეს იმგვარი სამყაროს წარმოდგენაში, რომელშიც სიგარეტი არ ქმნის და არ ავითარებს დამოკიდებულებას და რომელშიც ზრდასრული პირებს, რომელთაც ჯერ კიდევ სჭირდებათ ან სურთ ნიკოტინი, შეუძლიათ მისი მიღება ალტერნატიული და ნაკლებად საზიანო წყაროდან."

„ჩვენ უნდა გავაგრძელოთ, დამოკიდებული სიგარეტის მწეველებისთვის პოტენციური სარგებლის შესახებ ჩვენი შეხედულებების საფუძველზე, სათანადოდ რეგულირებულ ბაზარზე, იმგვარი ნაწარმების შექმნა, რომლებსაც შეუძლიათ ნიკოტინის მიწოდება თამბაქოსთვის ცეცხლის მოკიდების გარეშე.“

2017 წლის 18 ივლისს, დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის დეპარტამენტმა ხაზი გაუსვა თამბაქოს კონტროლის საკუთარ სტრატეგიას სახელწოდებით „მოწევისგან თავისუფალი მომავალი - თამბაქოს კონტროლის გეგმა ინგლისისთვის.“ დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის დეპარტამენტის გეგმა აღიარებს ელექტრონული სიგარეტების და ახალი უკვამლო ნაწარმების პოტენციალს იმგვარი საპატიო საჯარო ჯანდაცვის ორგანოების რჩევის საფუძველზე, როგორიცაა „ინგლისის საჯარო ჯანდაცვა“ და „სამეფო კოლეჯის ექიმები“.

„ჩვენ ვემხრობით მტკიცებულების საფუძველზე შექმნილ პოლიტიკას, შესაბამისად, ჩვენი მიზანია დავეხმაროთ ხალხს მოწევისთვის თავის დანებება ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის საფუძველზე, რომლებიც მინიმუმამდე შეამცირებენ ზიანის რისკს და მაქსიმუმამდე გაზრდიან მოწევის უსაფრთხო ალტერნატივების ხელმისაწვდომობას.“

„ჩვენ მივესალმებით ინოვაციას, რომელიც შეამცირებს მოწევით გამოწვეულ ზიანს და შეაფასებს შეიტანს თუ არა წვლილს მწეველთათვის ზიანის მიყენების რისკის შემცირებაში ისეთი ნაწარმი, როგორიცაა თამბაქოს ახალი ნაწარმი.“

დამატებით, ევროკავშირის 2014 წლის 3 აპრილის დირექტივა ადგენს განსხვავებულ განმარტებებს - „არამოწევადი თამბაქო“ (არაწვადი თამბაქო), „ელექტრონული სიგარეტები“ და ტრადიციული „სიგარეტები“ (წვადი თამბაქოს ნაწარმი). მათგან განსხვავებით, „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონმა შემოიტანა „მოწევისა“ და „თამბაქოს ნაწარმის“ ახალი განმარტება (ამოქმედდა 2018 წლის 1 მაისიდან), რომელიც საერთო რეგულაციას უქვემდებარებს, როგორც ჩვეულებრივ წვად თამბაქოს ნაწარმებს, ასევე ელექტრო სიგარეტებს და ახალ არაწვად თამბაქოს ნაწარმს, რომელიც არ არის განკუთვნილი მოწევისთვის. ამრიგად, იგი ევროკავშირის დირექტივით გათვალისწინებულ სტანდარტზე უფრო მაღალ სტანდარტს აწესებს და ეწინააღმდეგება ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკას, ისევე როგორც ნაწარმის ინოვაციასა და მეცნიერებაში განხორციელებულ უახლეს მიღწევებს.

ევროკავშირის პარლამენტმა 2014 წლის 3 აპრილს გააუქმა 2001/37/EC დირექტივა და მიიღო უახლესი დირექტივა „თამბაქოს და მსგავსი ნაწარმის წარმოების, წარდგენის და გაყიდვის მარეგულირებელი ევროკავშირის წევრი ქვეყნების კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული წესების დაახლოების შესახებ“. დირექტივის პრეამბულის შესაბამისად, მისი მიზანი იყო *„მეცნიერებაში, ბაზარზე და საერთაშორისო ასპარეზზე გამოვლენილი წინსვლების ასახვა“*, რომელიც მოითხოვს ძველ 2001/37/EC დირექტივაში არსებითი ცვლილებების განხორციელებას. ბაზარზე განხორციელებული ახალი წინსვლების (ე.ი. ელექტრო სიგარეტების მზარდი ბაზრის გათვალისწინებით, როგორც დირექტივაშია მითითებული) და მეცნიერული კვლევების საფუძველზე, დირექტივა განსხვავებულ რეჟიმს

აწესებს თამბაქოს ჩვეულებრივი ნაწარმის (მოსაწევი თამბაქო) და ელექტრონულ და ახალ თამბაქოს ნაწარმთან მიმართებაში, რომელიც არ არის განკუთვნილი მოსაწევად (არაწვადი თამბაქო).

კანონპროექტის მიღების მიზეზია წვადი და არაწვადი თამბაქოს ნაწარმის (როგორიცაა ელექტრონული სიგარეტები და არამოსაწევი ახალი თამბაქოს ნაწარმი) მიმართ იმ ერთგვაროვანი მიდგომის გაუქმება, რომელიც არეგულირებს ამ ტიპის ნაწარმსა და ტრადიციულ სიგარეტებს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროქტის მიზანია, შეიტანოს ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობაში, რათა ასახოს ახალ თამბაქოსა და ნიკოტინის ნაწარმთან დაკავშირებული უახლოესი მიღწევები მეცნიერებაში, ტექნოლოგიაში და რეგულაციებში, რათა შესაძლებლობა წარმოიშვას ეს ნაწარმი დარეგულირდეს ახალი სათანადო საკანონმდებლო აქტით და მათ მიმართ არ გავრცელდეს იგივე მიდგომა, რაც თამბაქოს იმ ტრადიციული ნაწარმის მიმართ, რომელიც განკუთვნილია მოსაწევად და ცნობილია, როგორც თამბაქოს ყველაზე მომაკვდინებელი ნაწარმი. ამგვარად, კანონპროექტი დაუახლოებს საქართველოს კანონმდებლობას საუკეთესო პრაქტიკას, რომელიც შემოღებულია მთელი რიგი წამყვანი სახელმწიფოების (მათ შორის აშშ და დიდი ბრიტანეთი) მიერ.

ა.გ. კანონპროქტის ძირითადი არსი

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის 28 წევრმა ქვეყანამ, რომლებიც ჰარმონიზებული სისტემის შესახებ კონვენციის ხელმომწერი ქვეყნები არიან, მოახდინა ორთქლის გამომყოფი პროდუქტების კლასიფიკაცია 24 თავში, რომელიც მოიცავს „თამბაქოს და წარმოებული თამბაქოს შემცვლელებს“. ასეთი კლასიფიკაციის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი ნაწარმი, მიუხედავად თამბაქოს შემცველობისა, არ არის მოსაწევად განკუთვნილი.

მოწევის მრავალი განმარტება, მათ შორის მერიამ ვებსტერის ლექსიკონი, კემბრიჯის ლექსიკონი და ოქსფორდის ლექსიკონი, ზმნა „მოწევას“ განმარტავს, როგორც ნივთიერებების გამოყოფას *წვის* შედეგად, მაშინ, როცა ზემოაღნიშნული ნაწარმის მახასიათებელია აორთქლება / აეროზოლის გამოყოფა, რაც არ არის კვამლი.

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის დატოვება არსებული ფორმულირებით გულისხმობს “თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლებით გათვალისწინებული შეზღუდვებისა და რეგულაციების არაწვად თამბაქოს ნაწარმზე (ელექტრონული სიგარეტი და ახალი თამბაქოს ნაწარმი) გავრცელებას, მაშინ როცა ევროპის წამყვანი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ასეთი ნაწარმი არ უნდა იყოს კლასიფიცირებული, როგორც მოსაწევად განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმი და არ უნდა მოექცეს ევროკავშირის დირექტივებით გათვალისწინებული იმ შეზღუდვებისა და რეგულაციების ქვეშ, რომელიც შეეხება ჩვეულებრივად წვად და მოსაწევ თამბაქოს ნაწარმს.

ამრიგად „თამბაქოს ნაწარმის“ განმარტებიდან ამ ტექსტის ამოღებით „ელექტრონული სიგარეტის ან სხვა მსგავსი მოწყობილობის ნიკოტინის შემცველი

მასალა/კარტრიჯი/კაფსულა“, ასევე „მოწევის“ განმარტებიდან „ორთქლისა“ და „გახურების“ ამოღებით, წინამდებარე კანონპროექტი შესაძლებლობას იძლევა მკაცრი რეგულაციებიდან გამოირიცხოს ელექტრონული სიგარეტი და ახალი, არაწვადი თამბაქოს ნაწარმი და მომავალში შემუშავებულ იქნას მათთან დაკავშირებული ახალი რეგულაციები ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობაში.

კანონპროქტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა. კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროქტის მიღება არ უკავშირდება ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

რეგულაციას, რომელიც ამოქმედდება [.] -დან, ექნება ... .

ბ.გ კანონპროქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ. სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას.

ბ.ე. კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ დგინდება ახალი გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და მისი განსაზღვრის პრინციპი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს. მეტიც, ის ხელს უწყობს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის დირექტივებთან, რომლებიც, თავის მხრივ, განსხვავებულ სტანდარტს აწესებს „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული მიდგომისაგან. ევროკავშირის 2001/37/EC დირექტივით გათვალისწინებული „თამბაქოს ნაწარმის“ განმარტება არის შემდეგი: „ყველა პროდუქტი, რომელიც განკუთვნილია, მოსაწევად, შესაყნოსად, შესაწოვად ან დასაღეჭად და შეიცავს თამბაქოს, იქნება გენმოდიფიცირებული თუ არა, ნაწილობრივ მაინც.“

„თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, „თამბაქოს ნაწარმი“ განიმარტება, როგორც *„თამბაქოს ან მისი ელემენტების შემცველი ნაწარმი (გარდა ნიკოტინის შემცველი სამკურნალწამლო საშუალებისა), რომელიც განკუთვნილია მოსაწევად, დასაღეჭად, საწუწნად ან შესასუნთქად“*, ხოლო „მოწევა“ როგორც *„თამბაქოს ნაწარმის წვის ან გახურების შედეგად გამოყოფილი პირველადი კვამლის ან ორთქლის შესუნთქვა“.*

შესაბამისად კანონის მოცემული რედაქცია შეიცავს „თამბაქოს ნაწარმის“ უფრო ფართო განმარტებას, ვიდრე ევროკავშირის ზემოთხსენებული დირექტივა. ევროკავშირის 2014 წლის 3 აპრილის „თამბაქოს და მსგავსი ნაწარმების წარმოების, წარდგენის და გაყიდვის მარეგულირებელი ევროკავშირის წევრი ქვეყნების კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული წესების დაახლოების შესახებ“ ევროკავშირის 2014/40/EU დირექტივა, რომელიც აუქმებს 2001/37/EC დირექტივას, იძლევა ცალკეულ განმარტებებს შემდეგ ნაწარმთან დაკავშირებით - „სიგარეტი“ (წვადი თამბაქოს ნაწარმი), „არამოწევადი თამბაქოს ნაწარმი“ (არა-წვადი თამბაქოს ნაწარმი) და „ელექტრონული სიგარეტი“. იგი აწესებს ნაკლებად მკაცრ სტანდარტს „ელექტრონულ სიგარეტთან“ და „არამოსაწევ თამბაქოს პროდუქტებთან“ მიმართებაში მათი გამოყენებით ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ნაკლები რისკის არსებობის ფონზე. „არამოსაწევი თამბაქოს ნაწარმის“ განმარტების ქვეშ, ევროკავშირის დირექტივის მიხედვით, ექცევა ყველა თამბაქოს ნაწარმი, რომელიც არ მოიცავს წვის პროცესს, რაც „მოწევისა“ და „მოსაწევი თამბაქოს ნაწარმის“ დეფინიციიდან გამორიცხავს ყველაფერს, რაც უკავშირდება “არამოსაწევ თამბაქოს ნაწარმს“. ამასთან, ევროკავშირის დირექტივა აწესებს შეფუთვისა და ეტიკეტირების მეტად მკაცრ სტანდარტს „მოსაწევ თამბაქოს ნაწარმთან“ მიმართებით და შედარებით მსუბუქს „არამოსაწევ თამბაქოს ნაწარმთან“ და „ელექტრონულ სიგარეტთან“ მიმართებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ცვლილებები მიზნად ისახავს საქართველოს შიდა კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის დირექტივებთან. კანონპროექტი განასხვავებს ტრადიციულ წვად თამბაქოს ნაწარმს ელექტრონული სიგარეტისა და ახალი არაწვადი თამბაქოს ნაწარმისგან და შესაძლებლობას იძლევა მათთან დაკავშირებით შემუშავებულ იქნას ახალი, ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობაში მყოფი სათანადო რეგულაციები.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი: [●]

ვ) კანონპროექტის ინიციატორი: [●]